საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/88 " 5 " თებერვალი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 30 დეკემბრის №1/284 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება პეკინის ქ. №29-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართთან დაკავშირებით 1 წლის ვადით, ფართის მესაკუთრე ზაურ ქილიფთართან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მითითებული ფართის იჯარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მეიჯარესთან გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სახელშეკრულებო ღირებულებით 595 ლარი.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი